

ხელშეკრულების მხარეები:

აბონენტი: -----

(სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი, ტელეფონი)

საკაბელო ოპერატორი: „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ (სიჯისი), 204876081;
ქ. რუსთავი, 3700, მეგობრობის გამზ.№2

გამოყენებული ტერმინები:

აბონენტი – პირი, რომელიც ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას და იღებს უფლებას მიიღოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება.

სააბონენტო გადასახადი – მომსახურების თვიური ანაზღაურება, რომელიც შეიცავს საკაბელო ქსელით მომსახურებისა და სატელევიზიო პროგრამების პაკეტის ღირებულების ერთობლიობას.

პაკეტი – საკაბელო ოპერატორის რესურსით შეზღუდული ტელეოპერატორის მიერ აბონენტისთვის მიწოდებული სატელევიზიო პროგრამების ერთობლიობა.

ჩართვის ღირებულება – ჩართვის მომსახურების ღირებულება.

მომსახურება – საკაბელო ოპერატორის ქსელის საშუალებით ტელეოპერატორის სატელევიზიო პროგრამებთან დაშვების ფასიანი მომსახურება.

1. ზოგადი პირობები

- 1.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით საკაბელო ოპერატორი უწევს მომსახურებას აბონენტს, ხოლო აბონენტი ანაზღაურებს ამ მომსახურებას და იცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.
- 1.2 საკაბელო ოპერატორი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების პირობები.

2. მომსახურების მიღებისა და ანაზღაურების პირობები

- 2.1 მომსახურების გაწევის ვალდებულება დგება აბონენტის მხრიდან ხელმოწერილი წინამდებარე ხელშეკრულების საკაბელო ოპერატორთან რეგისტრაციიდან.
- 2.2 მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას, აბონენტი ახდენს ყოველთვიურად ავანსად, საკაბელო ოპერატორთან პაკეტის ღირებულების შესაბამისად 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით, მიმდინარე თვის 5 ----- რიცხვამდე და ხელშეკრულების გაფორმებისას, ინსტალაციის გადასახადს - ----- (-----) ლარის ოდენობით.
- 2.3 სააბონენტო ტარიფს ადგენს საკაბელო ოპერატორი. ტარიფი დგინდება დღგ-ს ჩათვლით. საკაბელო ოპერატორს შეუძლია ცალმხრივად შეცვალოს ტარიფი.

3. ტელე და საკაბელო ოპერატორის უფლებამოვალეობანი

- 3.1 საკაბელო ოპერატორები არსებული ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად უზრუნველყოფს სათანადო მომსახურების მიწოდებას.
- 3.2 საკაბელო ოპერატორი იტოვებს უფლებას შეცვალოს მომსახურება: პაკეტიდან სატელევიზიო პროგრამები შეცვალოს ან ამოიღოს, შეჩეროს ან შეწყვიტოს მომსახურება.
- 3.3 საკაბელო ოპერატორები არ წარმოადგენენ სატელევიზიო პროგრამების/არხების შემქმნელს და პასუხს არ აგებენ მათ შემცველობაზე, მაუწყებლობის ბაღეზე ან ამ პროგრამების/არხების შეჩერება-შეწყვეტაზე.
- 3.4 საკაბელო ოპერატორები პასუხს არ აგებენ ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, არაკონტროლირებადი ბუნებრივი და ტექნიკური პირობების გამოისობით შექმნილი ხელშეშლისას.

- 3.5 აღნიშნული მომსახურების საფასურის 2.2 პუნქტით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, „სიჯისი“ იტოვებს უფლებას აბონენტს შეუჩეროს სიჯისის მომსახურება.
- 3.6 დაზიანების აღმოფხვრა მოხდება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მე-18 და 18 პრიმა მუხლებით დადგენილ ვადებში. აბონენტთა პრეტენზია მიიღება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. აბონენტს განემარტება საჩივრის წარდგენისა და განხილვის წესი. პრეტენზია განიხილება 5 სამუშაო დღის ვადაში. აბონენტის მოთხოვნის შესაბამისად, პასუხის გაცემა ხდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით

4. აბონენტის უფლება-მოვალეობანი

- 4.1 აბონენტს უფლება აქვს: ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ისარგებლოს მომსახურებით, მიიღოს საკაბელო ოპერატორისგან კონსულტაცია.
- 4.2 აბონენტი ვალდებულია საკაბელო ოპერატორს მიაწოდოს სწორი და დროული ინფორმაცია პირად მონაცემებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- 4.3 ტარიფებისა და პირობების შეცვლისას აბონენტი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, მაგრამ მან ამის თაობაზე მომსახურების პირობების შეცვლამდე წერილობით უნდა განაცხადოს საკაბელო ოპერატორთან.

5. ხელშეკრულების მოქმედება

- 5.1 ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია ბონენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის საკაბელო ოპერატორთან რეგისტრაციიდან. იგი ძალაშია მის გაუქმებამდე ან მომსახურების შეწყვეტამდე.

6. დასკვნითი პირობები

- 6.1 ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართალი რეგულირდება ქართული კანონმდებლობით;
- 6.2 აბონენტის გარკვეული ქმედების საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენს საკაბელო ოპერატორში რეგისტრირებული ინფორმაცია.
- 6.3 საკაბელო ოპერატორებში რეგისტრირებული აბონენტის ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარკეტინგული თვალსაზრისით. თუ აბონენტს არ სურს, რომ მასზე ინფორმაცია არ იყოს მარკეტინგული თვალსაზრისით გამოყენებული, მან ამის თაობაზე წერილობით უნდა განაცხადოს საკაბელო ოპერატორთან.

მხარეთა ხელმოწერები

დამკვეთი

შემსრულებელი

შ.პ.ს. „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ (სი-ჯი-სი)
მის.: ქ.რუსთავი, მეგობრობის გამზირი #2.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204876081
სს „თიბისი ბანკის“ ქვემო ქართლის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE41TB0200000360867289
სს „ლიბერთი ბანკის“ რუსთავის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE25LB0113165619221000
„სიჯისის“ წარმომადგენელი:

დანართი

სატელევიზიო არხები:

რუსთავი 2 იმედი 1 არხი აჭარა ტვ 11 GDS მარაო კომედი არხი კავკასია მაესტრო ობიექტივი პალიტრა ტვ TV პირველი ქართული არხი ერთსულოვნება (ივერია) ტვ 3 მე-2 არხი აფხაზეთის ხმა მიუზიკ ბოქსი ენკი ბენკი ქვემო ქართლი ნტვ+ ფეხბურთი 1, ნტვ+ ფეხბურთი 2, ნტვ+ ფეხბურთი 3, ტვ 1000 მეგაპიტი, ტვ 1000 პრემიუმი, Silk უნივერსალი Setanta Sport Boec TV Auto Plus 24 Texno Axota & Ribalka Discovery Animal Planet Viasat History Viasat Explorer TLC RTR Planeta ORT TNT Comedy Tv CTC RTVi Euronews Tv 1000 Tv 1000 Action Dom Kino Fenix Kino Tv 21Eurokino Iluzion+ India Tv Multimania World Fashion Music box ru Mezzo Shanson Tv Kuhnia Tv მარნეული tv Iberia tv Tabula